

ჩვენი კურსდამთავრებულის, მარინა შიოლაშვილის ისტორია



მზარეულობიდან საკუთარ ბიზნესამდე.

მარინა შიოლაშვილი- მზარეული მესამე საფეხური

სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ 2016წლის კურსდამთავრებული

“რესტორანში მზარეულად 4 წელი ვიმუშავე. მერე გადავწყვიტე, ახალი ცოდნა შემეძინა, აქვე, კოლეჯში “თეთნულდი” მზარეულის სპეციალობის პროგრამაზე ჩავაბარე. მრავალშვილიან ქალებს სახლის საქმეც ძალიან ბევრი გვაქვს, კოლეჯის მოქნილმა გრაფიკმა და მრავალფეროვანმა პროდუქტმა კი ბევრ რამეში შემიწყო ხელი. მანამდე მხოლოდ ქართული სამზარეულო ვიცოდი, აქ ევროპულიც შევისწავლე. “თეთნულდში” ნასწავლი სტაფილოს სალათა მე და ჩემმა გოგომ გადაცემაში “ჩემი სამზარეულოს წესები” მოვამზადეთ და ფინალშიც მოვხვდით.

აქ მიღებულმა ცოდნამ თავდაჯერებულობა შემმატა, აწარმოე საქართველოში გრანტი მოვიპოვე და დიდხანს ნაფიქრი კაფეც გავხსენი მესტიაში. ასე ვაქციე ცოდნა ბიზნესად. ჩემი საქმე რომც არ წამომეწყო, სერთიფიცირებული მზარეულიც უფრო მაღალანაზღაურებადი და დაფასებული ვიქნებოდი.

ასაკმა და რთულმა გარემო პირობებმა არ უნდა შეგაფერხოთ. მერე რა, რომ პატარა აღარ ვარ, ახლაც ინტერნეტის საშუალებით ყოველდღიურად ვსწავლობ ახალ რეცეპტებს, მორთვას... ჩემი ნამცხვრებიც უფრო მრავალფეროვანი ხდება, ტურისტებს და ადგილობრივებსაც უფროდაუფრო მოსწონთ. ხშირად მეუბნებიან, ნეტაი შენ, რა ნერვები გაქვს, ამდენს რომ ეძებ კომპიუტერშიო. არადა, მაგისტვისაა ინტერნეტი შექმნილი”.

ჩვენი კურსდამთავრებულის, მაიკო გულედანის ისტორია



პროფესიებს არ განსაზღვრავს სქესი, განსაზღვრავს მხოლოდ მონდომება

მაიკო გულედანი_ინფორმაციის ტექნოლოგიის კურსდამთავრებული

სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ 2019 წლის კურსდამთავრებული

მაიკო გულედანი 2014 წლიდან პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგია. თუმცა იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება ვინც მუდმივად ზრუნავს საკუთარ პიროვნულ და პროფესიულ ზრდა განვითარებაზე, მაიკომ 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე გაიარა პროფესიული ტესტირება და ჩიარიცხა ინფორმაციის ტექნოლოგიის ჯგუფში. წარმატებით დაასრულა სწავლა და დღეს უფრო თავდაჯერებულად აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ის, რომ პროფესიებს სქესი არ გააჩნიათ, მაიკომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა - ერთი დღით შემდუღებლობა სცადა, რაც არაჩვეულებრივად გამოუვიდა.

ჩვენი კურსდამთავრებულის ნათია ნაცარაშვილის ისტორია.



7 ნომრიანი „გესტ ჰაუსიდან“ 70 ნომრიან უმაღლესი კლასის სასტუმრომდე - ჩვენი კურსდამთავრებულის, სასტუმროების „Svan House“ და „Mountain Mestia-ს მფლობელის, ნათია ნაცარაშვილის ისტორია.

„სვანეთში გადმოსვლა ჩემს მეუღლესთან ერთად 8 წლის წინ გადავწყვიტე. პირველი წლები ნამდვილად არ იყო მარტივი განსხვავებული ცხოვრების სტილის, წესების და კლიმატის გამო. იყო პერიოდი, როდესაც კვირაობით არ იყო შუქი, წყალიც იყინებოდა და ამ პირობებში ვცხოვრობდით 14 ადამიანი ერთ ოჯახად. მაშინ პედაგოგად ვმუშაობდი.

რადგან ტურიზმი ფეხს უკვე იკიდებდა, გადავწყვიტე სტუმარ-მასპინძლობის სფეროში ბედი მეცადა, მე და ჩემმა მეუღლემ სესხი ავიღეთ და ჩვენი სახლის ეზოში არსებული შენობა guest house-ად გადავაკეთეთ.

ყველაფერი იმაზე ბევრად რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა - სასტუმროს მართვა, მომარაგება, სტუმრებთან კომუნიკაცია და დალაგება ძალიან მძიმედ დამაწვა. რაღაც პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ არსებული ცოდნით ამ სფეროში დიდ წარმატებას ვერ მივაღწევდი. არ ვიცოდი გამასპინძლების წესები, როგორი განლაგება უნდა ჰქონოდა ოთახებს, აბაზანა, სამზარეულო როგორ უნდა მომეწყო, რა იყო აუცილებელი ატრიბუტები. რადგან მესტიიდან ვერსად მივდიოდი, აქვე ვნახე სასტუმროს საქმის წარმოების პროგრამა კოლეჯ თეთნულდში. სასწავლო პროგრამამ ჩემს მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა. 1 წლის განმავლობაში სრულიად უფასოდ ვისწავლე ყველაფერი, რაც მჭირდებოდა - ოთახის მოწყობა, თეთრეული, გაფორმება, პროგრამაში მუშაობა, სტუმრებთან ურთიერთობაში კიდევ უფრო დავიხვეწე. კოლეჯში არის სასტუმროს ტიპის ოთახი, სადაც პრაქტიკას გავდიოდი.

ახლა უკვე 2 სასტუმროს და მასში მომუშავე პერსონალს ვხელმძღვანელობ, თუმცა სტუმრებთან კავშირს არასდროს ვკარგავ. ამ სფეროში უმთავრესი ნატურალური პროდუქტი, ღიმილი და წრფელი კომუნიკაციაა. სტუმრებზე ზრუნვამ მოიტანა ის, რომ ხშირად, როდესაც სასტუმროში ადგილი არ გვაქვს, სხვაგან რჩებიან, მაგრამ დღის საათებს ჩვენთან ატარებენ. Booking.com-მა კი ახლახან მოგვანიჭა სამეგრელო-ზემო სვანეთის საუკეთესო სასტუმროს წოდება.

წლების განმავლობაში ძალიან დიდი ცოდნა დამიგროვდა, თუმცა არცერთ ეტაპზე მიფიქრია, რომ ეს საკმარისი იყო. სიახლეებისადმი სწრაფვამ ჩემს ოცნებასთან უფრო დამახლოვა - მალე 70 ნომრიან უმაღლესი კლასის სასტუმროს გავხსნი“